# დროშა

№ 1. 17 თებერვალი 1911 წელი.

წელიწადი პირველი.

რედაქციის ადრესი:
Тифлисъ, Типографія Т—ва „Сорапанъ".
для редакціи „ДРОША".

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ.

ცალკე № ღირს 5 კაპ.

წიგნების გამომცემლებს დაიბეჭდება ... ... განცხადებები უფასოთ.

გაზეთი „დ რ ო შ ა" გამოვა მასალის შეგროვების მიხედვით.

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



„სორაპნის" ამხანაგ. გამოცემა.

[illegible]

მიიღება ხელის მოწერა

● მეექვსე წიგნზე ●

# დრამები და კომედიები

შედგენილი

## ვასო აბაშიძისა

წიგნი გამოვა დიდი ზომისა, სამჯერ მეტი ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი გამოცემაა. წიგნში მოთავსებული იქნება როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნი პიესები გამოჩენილ ქართველ და უცხოელ დრამატურგებისა ავტორთა სურათებითურთ. ამ კრებულში დაიბეჭდება მხოლოდ ისეთი პიესები, რომლებიც ჯერეთ არ დაბეჭდილა. უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ პიესები პროვინციაში სცენაზე დასადგმელად გამოდგეს.

—.:.—

ფასი ხელისმომწერთათვის

● ერთი ● მანეთი ●

ხელის მოწერა დაიწყება თებერვლის 10 რიცხვიდან გათავდება—აპრილის 1 რიცხვში.

დაბეჭდილი წიგნი აუცილებლად გამოვა 1 ივნისს.

წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა.

ხელის მოწერა მიიღება ყველა აგენტებთან. მსურველს ეგზავნება ხელის მოსაწერი კვიტანციები.

პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგის მისა-
Тифлисъ, „Сорапанъ".

„სორაპანის" ამხ. კისრულობს ქართულ სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვა-გამოცემას —ვისაც გამოცემული, ქაჩრობებს შეუძლიან მიმართოს პირობების

გასაგზავნი ფულის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ", Мадатовск. островъ № 1.


### თბილისი 17 თებერვალი.

ათი წელიწადი იქნება, რაც წიგნების გამოცემას შევუდექით. ამ ათი წლის განმავლობაში, ცოტად თუ ბევრად, გავიცანი ჩვენში გამომცემლობის საქმე. ათი წლის პრაქტიკამ ცხადათ გვაჩვენა, რომ ჩვენი წიგნების გამომცემელნი ზარალობენ—ვერ ინაზღაურებენ დანახარჯს ფულსა და კოტრდებიან. ჩვენში გამოცემის საქმე ახალი საქმეა, მას დიდი ხნის ისტორია არ აქვს... პირველი წიგნების გამომცემლად ჩვენში ზ. ჭიჭინაძე. უნდა ჩაითვალოს, შემდეგ 2) წერა-კითხვის საზოგადოება. 3) გრ. ჩარკვიანი, 4) ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა, 5) ქუთაისის გამომცემელი ამხანაგობა, 6) კოწია თავართქილაძე, 7) იოსებ იმედაშვილი, 8) სპირიდონ ჭელიძე, 9) ვასილ გაღილია, 10) ივანე როსტომაშვილი, 11) „სორაპანი"ს ამხანაგობა, სოსიკო მერკვილაძე და სხ. ამათში ბევრმა უკვე ხელი აიღო წიგნების გამოცემაზე. დღეს-დღეობით მხოლოთ რამდენიმე გამომცემელია, რომელნიც სისტემატიურად ჰბეჭდავენ წიგნებს. მაგრამ მოსალოდნელია, ამათაც მალე შესწყვიტონ გამოცემის საქმე, რადგანაც იგი საზარალოა...

რა არის ამის მიზეზი?

აი საკითხი, რომლის გამორკვევაც ჩვენა გვსურს... უმთავრესი მიზეზი რასაკვირველია ის არის, რომ დაბეჭდილი წიგნები არ იყიდება. არ არის მოწყობილი გაყიდვის საქმე... იგი კომერციულ ნიადაგზე არ არის დაყენებული. ნისიათ გაცემული წიგნები თუმცა აქა იქა ცოტაოდენი იყიდება, მაგრამ საუბედუროთ გამომცემელს ეს ცოტაოდენიც ვერ აუღია. ღარიბნი არიან ჩვენი წიგნის მოვაჭრენი... თანაც საქმეში, გამოუცდელნი და ეს ორი მიზეზი ჰკლავს გამოცემის საქმეს... ვისაც ჩვენში წიგნების გავრცელებისა და გამოცემის საქმე აინტერესებს, ჩვენის ფიქრით, ამას უნდა მიაქციოს ყურადღება...

ჩვენ გაზეთს მიზნათ და აქვს ამ საკითხის გამორკვევა; რედაქცია ყოველგვარ წერილებს დასტამბავს ამ საგნის თაობაზე.

ჩვენი გაზეთი გამოვა მასალის შეგროვების დაგვარად...

რადგანაცძვირფასია ჩვენთვის ამ საკითხის გამორკვევა, ამიტომ არც ხარჯს მოვერიდებით, მხოლოთ, ჩვენმა გამომცემლებმა და წიგნის მოვაჭრეებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ საკითხის გამორკვევაში.

## როგორ უნდა მოეწყოს წიგნებით ვაჭრობის საქმე ჩვენში.

ვინც დაახლოვებით გასცნობია და დაჰკვირვებია ქართული გამოცემის საქმეს, ის უეჭველად შეამჩნევდა, რომ ჩვენში გამოცემის საქმე იმტომ იღუპება და ისპობა, რომ წიგნების გაყიდვის საქმე ჯეროვან ნიადაგზე არ არის დაყენებული. საქართველოში არამც თუ წიგნების ვაჭრობა, არამედ სხვა დარგის ვაჭრობა-მრეწველობაც ჩვენი გამოუცდელობის და უვიცობის წყალობით—ფეხს ვერ იკიდებს—და რაღა გასაკვირველია, რომ წიგნებით ვაჭრობა დაცემული იყოს. ჩვენში, ყოველი წიგნის მაღაზიის პატრონი შემოგჩივლებს წიგნები არ იყიდება და ვაჭრობა სრულებით არ გვაქსო... მართალია, მაგრამ ამავე დროს არც ერთ მათგანს თავისი თავი არასოდეს არ შეუწუხებია იმის ფიქრით თუ რა არის ამის მიზეზი? შეიძლება თუ არა ამ მიზეზის მოსპობა, დაძლევა. ჩვენის ფიქრით შეიძლება. და აი როგორ:

ამ ხუთის წლის წინედ როდესაც ჩვენ მაღაზია გვქონდა ყვირილაში, აუარებელი ქართული წიგნები გვეწყო. თვეში, ქართული სიკითხავი წიგნები (უჩებნიკებს გარდა) ერთი თუმნისა ძლივს იყიდებოდა... ახალ ახალ გამოცემებს ვყიდულობდი და გასავალი კი არა ჰქონდა. მაღაზიაში აუარებელმა წიგნებმა მოიყარა თავი, გაჩერდა კარგა ძალი ფული გამოცემებში—და გასავალი კი არა ჰქონდა. ამ გარემოებამ ძრიელ დამაფიქრა, ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე დამექირავებინა კაცი და სოფლად მეტარებინა წიგნები გასასყიდათ. გამოვძებნე ასეთი კაცი—კვალითელი გლეხი—მუშა—მოყვარული წიგნებისა, ეფრემ ბოხოჩაძე. გაუკეთე ზურგზედ მოსაკიდებელი ჩემოდანი, ჩაუწყვე წიგნები და გაუშვი სოფლებში. ხუთი თვე ვაჭრობდა ბოხოჩაძე. ბევრი გაჭირება გამოსცადა—ბევრი უსიამუნება აიტანა, მაგრამ ხუთი თვის განმავლობაში—ბოხოჩაძეს 0/0 0/0 გარდა ჯამაგირსაც ვაძლევდი. ასე რომ ხუთი თვის შემდეგ ნაღდი ფული მას 200 მ დარჩა. ბოხოჩაძემ რაღაი ამდენი თანხა შეაგროვა წიგნების ვაჭრობას თავი მიანება. წავიდა თბილისში, შეისწავლა სურათის გადაღება იყიდა ფოტოგრაფის აპარატი. და დაიწყო თავისთვის საქმე... იმ ხანებში, სამაგიერო კაცი ვერსად ვიშოვნე—მერე 1905 წელი დადგა და ჩვენი მაღაზიაც დასწვეს...—ამ რიგათ მოისპო ჩემი საქმე ამ პატარა გამოცდილებიდან ჩვენ დავრწმუნდით რომ წიგნებით ვაჭრობა სოფლად ხელ საყრელი საქმეა.—ბოხოჩაძე ვნახე ამ რამოდენიმე თვის წინედ მოვაგონე ძველი დრო და წყევლის იმ დღეს, რომ რა დღესაც მან წიგნებით ვაჭრობა ფოტოგრაფიაზე გასცვალა: წიგნების ვაჭრობიდან მეტი მრჩებოდაო, გულწრფელად აღიარა ეფრემ ბოხოჩაძემ. სხვებიც არიან კიდევ ხელზე წიგნების მოვაჭრენი—ყველ ამიცის ქუთაისში დანიელა ურია. ფოთში შახ ბარათოვი, ესენი კარგა ძალა წიგნებს ავრცელებენ და კარგი ფულიცა რჩებათ.—ჩვენი წიგის მოვაჭრეები ერჯელაც კი არ დაფიქრებულან ამაზე.—განა დიდი საქმეა წიგნების მოვაჭრეთა შოვნა? განა ერთი და ორია ჩვენში ცუდათ მოსიარულე რომ ლუკმა პური ენატრებად საშოვნელათ? და სხვა რომ არა იყოს რა, მათ რომ საქმე გაუჩღეთ ერთ ნაირი სამადლო საქმე ეს იქნება. სულ მცირე რომ ვთქათ თვეში რომ 20 მანეთის წიგნები დაყიდონ ესეც დიდი საქმე იქნება. წიგნებთან ერთად ზოგიერთი საკანცელარიო ნივთების გაყიდვაც შეიძლება, მაგ. კალმისა, ქაღალდისა, კარანდაშისა, მელანისა და სხვა.

წიგნების გამყიდველები უსათუოდ წერაკითხვის მცოდნენი უნდა იყვნენ—უნდა შეეძლოთ მოკლეთ თითეული წიგნის შინაარსის გადაცემა მყიდველზე.—ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. წიგნების გაყიდვა დამოკიდებულია გამყიდველზე. წიგნს აყიდვინებს ისეთსაც კი, რომელსაც არც კი უნდა სყიდვა...

სოფლად ბევრი ოჯახია თავადებისა, აზნაურებისა, შეძლებული გლეხებისა, მღვდლებისა, მასწავლებლებისა და სვხათა. რომელნიც სიამოვნებით იყიდია ყოველ ნაირ ახლათ გამოცემულ წიგნსა... ჩემ წიგნების დამტარებელ ბოხოჩაძეს ხუთი თვის განმავლობაში, სოფელში ერთი თუმანი არ დაუხარჯავს. ოჯახში ყველგან სიამოვნებით ღებულობდნენ, პატიჟობდნენ—მღვდლები, მასწავლებლები—ხელს უწყობდნენ... იბარებდნენ—მეორეთ ახალ ახალი წიგნები რომ მიეტანა—ð ერთი სიტყვით, ბევრ ალაგს შინაური ð საყვარელი კაცი შეიქნა ბოხოჩაძე. აუარებელ წიგნებსა ჰყიდდა დღეობაში—ნამეტურ ახალგაზდა ქალიშვილებზე. რა თქმა უნდა, საქმე უმარცხოდაც არ გათავებულა. ო[illegible]ვაც მაგრამ—გული მაინც არ გასტეხია... ჩვენის ფიქრით [illegible] ბოხოჩაძე იყო, ყოველთვის შესძლებს წიგნების გავრცელებას, იგი მოუტანს სარგებლობას თავის თავს, ხალხს, მაღაზიის პატრონს და გამომცემელს.

წიგნის მაღაზიის პატრონების მოვალეობაა ამას ყურადღება მიაქციონ. მაღაზიაში გულხელ დაკრეფილი ჯდომა და ლოდინი ალარვის არგებს. საჭიროა მეტი სიფხიზლე, გამჭრიახობა, მეცადინობა და არაფერია ქვეყანაზე ისეთი საქმე. თუ მას ენერგიით მოვეკიდებით, რომ არ გამოკეთდეს და არ დადგეს სასურველ ნიადაგზე.

წიგნის მაღაზიის პატრონებს ამ შეთხვევაში გამომცემლებიც მიეშველებიან...

შეიძლება საქმე ორგანიზაციულადაც მოეწყოს. თუმცა, ჩვენ საქმის გართულების წინააღმდეგი ვართ.

ყოველ შემთხვევაში, სასურველია ამის შესახებ გამოცდილმა პირებმა თავიანთი აზრი გამოსთქვან.

—

პრაქტიკულად ამ საქმის დაწყება ასე შეიძლება—წიგნების მოვაჭრე უსათუოდ 17 წლისა უნდა იყოს, ნაკლები კანონით არ შეიძლება. პოლიტიკურად საიმედო, მოწმობა ადგილობრივ პოლიციისაგან—მამასახლისისაგან ან ბოქაულისაგან რომ ის პოლიტიკურათ საიმედო პირია და არავითარ საქმეში არ ჩარეულა—ეს მოწმობა უნდა წარდგენილ იქნას გუბერნატორთან. წარდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე ხაზინაში ნასყიდი, პატენთი ფეხზე ვაჭრობისათვის.

აი თვით ფორმა თხოვნისა.

Его Превосходительству

**Господину Кутаисскому Губернатору.**

უნდა დაეკრას ორი 75 კაპ. მარკა.

Проживающаго въ сел. Сазано, Шорапанскаго уѣзда Дворянина Григорія Вахтанговича Мхеидзе.

ПРОШЕНIЕ.

Имѣю честь покорнѣйше просить Ваше Превосходительство выдать мнѣ свидѣтельство установленное на производство разносной торговли **Книгами и Картинами** во всѣхъ мѣстностяхъ **Кутайсской** губерніи. Къ сему прилагаю: 1) установленное свидѣтельство на разносный торгъ, 2) выданый мнѣ паспортъ и 3) удостовѣреніе полиціи о моей благонадежности и несудимости.

(აქ მოეწერება ხელი)

# ახალი ამბები.

—:—

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა სუნდუკიანცის პიესა—„საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“. კომედია 1 მოქმედებათ, თარგმანი ვასო აბაშიძისა. წიგნაკი ეღირება ერთი შაური.

✦ „სორაპნის“ ამხ. სცემს მეექვსე წიგნათ, ვასო აბაშიძის შედგენილს დრამებსა და კომედიებს—ეს უკანასკნელი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენ პროვინციის სცენის მოყვარეებს, რადგან ხშირად პიესის უქონლობისა გამო წარმოდგენებს ვერ ჰმართავენ ხოლმე. ამ კრებულში კი 40, სხვა და სხვა პიესები იქნება მოთავსებული. წიგნი ეღირება ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

✦ იბეჭდება და ამ სამ კვირაში გამოვა ნაწერები, არჩილ ჯორჯაძისა.

✦ მზადდება დასაბეჭდად „დეკამირონი“ ბოკაჩიოსი, სურათებით. წიგნი იქნება დიდი ზომისა და ეღირება ერთი მანეთი.

✦ გამოვიდა „კულტურის“ გამოცემა—ნოე ჟორდანიას ნაწერები და დაურიგდა ხელის მომწერლებს. წიგნის გამომცემელ ფირმას მეტად ახირებული წინასიტყვაობა მოუთავსებია წიგნის პირველ გვერდზე. ამის გამო როგორც გავიგეთ „შრომის“ სტამბის ამხანაგობას ჰსურს მისცეს „კულტურის“ ფირმის მატარებელი კოწია თავართქილაძე პასუხის გებაში, შეურაცყოფისათვის.

✦ წერა-კითხვის საზოგადოებას ჯერ არავითარი საბოლოვო გადაწყვეტილება არ მიუღია ლექსიკონის გამოცემის შესახებ. ეს ლექსიკონი თუ დაიბეჭდა დაახლოვებით. 15 000 მანეთზე ნაკლები არ დაჯდება.

# აგენტურა.

—

ამ უკანასკნელ ხანებში ბეჭვდით სიტყვის ნაწარმოების გავრცელების საქმე ხელ ახლა აიწეწ დაიწეწა არაფერი ეშველა ამ საქმის მოწყობას.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ რომ ამ საქმის არევ-დარევაში უმთავრესი ბრალი თითონ რედაქციებს მიუძღვის. არ ინდობენ ერთმანეთს. თითეული მათგანი შემთხვევას ეძებს გაექცეს არსებულ კავშირს. ჯერ ჯეროვბით კიდევ ვერ შეიგნეს რომ ერთმანეთის ღალატით, თავიანთ თავს უთხრიან სამარეს.

საინტერესო ისტორია აქვს ამ აგენტურის საქმეს. როცა პირველად აგენტურა სულ არ არსებობდა, რედაქციებს ჰყავდათ საკუთარი აგენტი პროვინციებში, გზავნიდნენ გაზეთს, და ფულის გამომგზავნი კი არავინ იყო... იკარგებოდა გაგზავნილი გაზეთების დიდი უმრავლესობა. იმ დროს, პროვინციაში გაზეთებს ჰგზავნიდა ცნობილი **ვასილ კვინტრიძე**. თავიდგანვე ამ საქმეს ღალატის სუნი ასდიოდა—კვინტრიძე ერთი რედაქციდან რომ გასაგზავნს 3 მ. ღებულობდა—მეორიდან იმდენსავე გაზეთში 2 მ. ღებულობდა, მესამესი—სულ მუქთად მიჰქონდა, მეოთხეს 5 მანეთს ართმევდა. კვინტრიძემ დიდხანს ატარა ასე რედაქციები. დღეში მარტო გასაგზავნს 12—15 მანეთამდე ღებულობდა და სხვა გამომარჩენი კიდევ სხვა იყო. გაგზავნა კი მას თითონ 5 მანეთამდე უჯდებოდა.

სწორედ იმ ხანებში ჩვენ დავიწყეთ „ნიშადურის“ ბეჭდვა—კვინტრიძეს არ მოეწონა „ნიშადურის“ მიმართულება და გასაგზანი 3 მ.—6 მანეთამდე აიყვანა. ან და ხან წაღებაზე სულაც უარს გვეუბნებოდა. ამ გარემოებამ დამაფიქრა, გამოვიკვლიე საქმის მდგომარეობა და გადავსწყვიტე, რაც უნდა დამჯდომოდა ეს საქმე დამეყენებინა რიგიან საფუძველზე. ორი თვის მუშაობის შემდეგ, აგენტურის შექმნა შევსძელი. დავითანხმე რედაქციები. (შევპირდი რომ ყოველთვის ნაღდ ფულს მივსცემდი). გავიჩინე აგენტები და დავიწყე გაზეთების გზავნა. რედაქციებს ყოველ დღე მართლა ნაღდ ფულს ვძლევდი. მიუხედავად იმისა, რომ თავიგანვე პირობა მომცეს რედაქციები ამ საქმეში არ ჩაერეოდნენ, მაინც ჩაერივნენ. ერთ-ერთი რედაქციის ზედავლენით და მუქარით ჩემთან სამუშაოთ დამალებინეს ისევ ვასილ კვინტრიძე. კვინტრიძეს ჯამაგირი დაუნიშნე—მაგრამ რა ჯამაგირი უნდა ჰყოფნოდა იმ კაცს, რომელიც დღეში 7—8 მანეთი რჩებოდა. აირია საქმე, გაზეთებს მიკარგავდა. დავპირე დათხოვნა და ისევ ერთ-ერთმა რედაქციამ იძულებული გამხადა გადაწყვეტილებაზე ხელი ამეღო. მაშინ სხვა საშუალებას მივმართე: გაურიგდი კვინტრიძეს გაზეთების ნარდათ გზავნას—დღეში თუმნად. (თითონ მას 5 მანეთი ჯდებოდა) კვინტრიძე დამთანხმდა. მაგრამ მალე ისევ მომატება მომთხოვა. აუხსენი ეს გარემოება რედაქციებს, რომ ვზარალობდი მაგრამ ყურიც არავინ მათხოვა, მაშინ მეც მივმართე უკანასკნელ საშუალებას, ესე იგი მოვთხოვე რედაქციებს გაგზავნი ფულის მომატება.—კვინტრიძის გაშვებას, ჩემთან კავშირის გაწყვეტა არჩიეს და მეც თავი დავანებე. ასეთი უშორსმჭვრეტელობა გამოიჩინეს მაშინ რედაქციის გამგე პატრონებმა.

ჩემი გამზადებულ-გამოწყობილი საქმე გადასცეს მოსკოველ რუს—სიმონოვს. სიმონოვმა დაყო[illegible] 1500 მ. რედაქციების [illegible] ფეხი და მოსკოვში [illegible] ნოვის შემდეგ მიანდვეს აგენტურის საქმე—ლანგეს—უსამართლობა იქნება ვთქვა ამ კაცზე ცუდი რამე. თავის გამოუცდელობით აგენტებმა შეიყვანეს შეცდომაში და მასაც დაედვა რედაქციების ვალი 500 მ. ვიმეორებ ლანგეს ეს ფული არ მიუსაკუთრებია. იგი აგენტებმა დაატყუილეს როგორც გამოუცდელი კაცი—შეატყო რა ლანგემ, რომ ამ საქმისთვის უვარგისი იყო, უარი განაცხადა და თავი დაანება.

ამის შემდეგ ისევ მე მთხოვეს მიმეღო აგენტურა და საქმე მეწარმოებინა. მომცეს პატიოსანი სიტყვა და პირობა რომ აღარ მიღალატებდნენ. დავიჯერე საუბედუროდ და შევუდექი საქმეს—ერთ ხანს კარგათ მიდიოდა, მაგრამ შემდეგ კი ისევ აიწეწა საქმე—დამირღვიეს პირობა და ვზარალობდი. ბევრი ვეცადე გამომეკეთებინა საქმე, მაგრამ არა ეშველარა. იმ ფასად, რა ფასათაც მე მაძლევდნენ, ზოგიერთმა რედაქციებმა ჩუმა ჩუმათ მისცეს რკინის გზის შკაფსაც. ეს კი ჩემი აგენტურის მოსპობას ნიშნავდა. მეც იძულებული გავხდი სამუდამოდ თავი დამენებებინა.

ჩემს შემდეგ გადასცეს ისევ ბ-ნ რუკოვიჩს—რუკოვიჩთან რამდენი სარგებლობა ნახეს რედაქციებმა ეს იქიდგანაც სჩანს რომ წაართვეს მას ხელ-ახლა აგენტურა. უნდოდათ რედაქციებს ისევ ჩემთვის მოეცათ და რადგანაც მე უარი განვაცხადე შეადგინეს თავიანთი ბიურო.

ჩინებული საქმე იყო. მეც რაც შემეძლო ვეხმარებოდი ამ ბიუროს დაარსებას და გამაგრებას, მაგრამ ისევ უნდობლობა რევს საქმეს. ზოგიერთმა რედაქციებმა ხელახლა რუკოვიჩს გაუშვირეს ხელი.

აგენტურის საქმე—ეს სერიოზული საქმეა—ჟურნალ-გაზეთებისათვის. აგენტურა—აცოცხლებს და ჰკლავს გაზეთს. მიუხედავათ იმისა რომ ასეთი სერიოზული მნიშვნელობა აქვს აგენტურას, რედაქციები მაინც ვერ ახერხებენ ამ საქმის რიგიანათ მოწყობას. აგენტურის მოწყობის საქმე გამომცემლებისათვის და წიგნის მოვაჭრეთათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორ შეიძლება ამ საქმის რიგიანად დაყენება? ვინ უნდა იკისროს ეს საქმე? აი საკითხი. ჩვენ ვეცდებით ამ საკითხზე შესახებ ჩვენი აზრი შემდეგ გამოვთქვათ.

მ. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**განცხადება** იყიდება „სორაპნის" ამხ. საწყობში წიგნები, როგორც საკუთარი გამოცემანი, აგრეთვე ისეთი გამოცემანიც რომელიც „სორაპნის" ამხ. აქვს ნაყიდი. წიგნის გამყიდველებს და მოვაჭრეებს სამკითხველოებს და შკოლებს დაეთმობათ იმ ფასათ როგორიც აქ არის მოხსენებული განცხადებაში — [illegible] ფასად. **ადრესი: Тифлисъ, Т—во „Сорапань"**, ფულის გამოგზავნაც ამავე ადრით შეიძლება.

| სახელ-წოდება გამოცემისა. | ფასი. მან. | ფასი. კაპ. | დაეთმობა გამყიდველებს. მან. | დაეთმობა გამყიდველებს. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| **ქართველი მწერლები — ნაწილი I** სახელმძღვანელოთ მიღებულია შკოლებში სახმარებლათ. შედგენილი ივ. გომელაურის-მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია თხზულებანი: 1) ვაჟა-ფშაველასი, 2) შიო არაგვისპირელისა, 3) რ. ერისთავისა, 4) ეკ. გაბაშვილისა, 5) ნ. ლომოურისა, 6) ეგ. ნინოშვილისა, 7) აკაკი წერეთლისა, 8) ილია ჭავჭავაძისა, 9) დ. კლდიაშვილისა, 10) ნ. ბარათაშვილისა, 11) ი. ევდოშვილისა, 12) ლალიონისა, წიგნში ჩართულია 12 ავტორის სურათია, დაკაზმულია მშვენიერი ყდით, და ღირს . . . | — | 80 | — | 64 |
| **ქართველი მწერლები — ნაწილი II** შედგენილი ივ. გომელაურის-მიერ. წიგნში მოთავსებულია შემდეგ ავტორთა თხზულებანი: 1) ილია ჭავჭავაძის — ლექსები და მოთხრობები. სხვათა შორის მოთავსებულია „კაცია ადამიანი?!" 2) აკაკი წერეთლის ლექსები. სხვათა შორის მოთავსებულია მისი პოემი, თორნიკე ერისთავი, 3) გიორგი წერეთლის, მოთხრობა, „რუხი მგელი", 4) ალექსანდრე ყაზბეგისა, მოთხრობა, „ელისო", 5) გრიგოლ ორბელიანისა, ლექსები, 6) შიო არაგვისპირელისა, მოთხრობები 7) დავით კლდიაშვილისა, მოთხრობა — „სამანიშვილის დედინაცვალი", 8) ვაჟა-ფშაველას — ლექსები, 9) ეგნატე ნინოშვილისა, მოთხრობები — „ჩვენი ქვეყნის რაინდი" და „სიმონა", 11) ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ლექსები, სხვათა შორის მოთავსებულია „მერანი", „სულო ბოროტო" და სხ., 11) ვახტანგ ორბელიანისა, ლექსები, სხვათა შორის — „იმედი". წიგნი შეიცავს 802 გვერდს, დაკაზმულია კოხტად და ლამაზათ. ჩართული აქვს მრავალი სურათები და ღირს . . . . | 1 | 45 | 1 | 17 |
| **ნ. ბარათაშვილის** — სრული ლექსთა კრება. ამ წიგნში მოთავსებულია ყველა ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ბიოგრაფია ფაქსიმილით — წიგნი აწყობილია წმიდა ასოებითა, შეიცავს 80 გვერდს და ღირს . . . . . . . . . . | — | 10 | — | 6 |
| **კუდიანი ვარსკვლავი** — კომედია ერთ მოქმედებათ გ. ბაქანჩიგაძის — შეიცავს 40 გვერ. და ღირს . . . . . . . . . . | — | 5 | — | $2^1/_2$ |
| **ახალი ჩანგი** — შედგენილი შ. გაჩეჩილაძის-მიერ — წიგნში მოთავსებულია 60 სურათი სხვა და სხვა მოღვაწეებისა — დაბეჭდილია საუკეთესო ლექსები ჩვენი გამოჩენილი მგოსნებისა. დართული აქვს წიგნს — სცენები და დრამატიული ნაწარმოები ვ. გუნიასი, ადვოკატიან — რაინი | | | | |

| სახელ-წოდება გამოცემისა. | ფასი. მან. | ფასი. კაპ. | დაეთმობა გამყიდველებს. მან. | დაეთმობა გამყიდველებს. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| სოვეტნიკის სიზმი, პოტაპენკოსი. უბედური დღე, ვ. ბანჩივაძისა. შეკაზმულია ძვირფას ყდით და ღირს . . . . | 1 | 35 | 1 | — |
| **მოლიერი** — დრამატიული თხზულებანი, ავტორის სურათით და ბიოგრაფიით. ამ წიგნში მოთავსებულია სამი კომედია 1) კრიჟანგი, 2) სკაპენის ცუღლუტობა და 3) პრანჭიაქალები. წიგნი შეიცავს 221 გვ. ღირს . . . . . . . | — | 50 | — | 35 |
| **განდეგილი** — ლექსები და მოთხრობები, ავტორის სურათით და ბიოგრაფიით. წიგნი შეიცავს 230 გვ. და ღირს. | — | 50 | — | 35 |
| **გაყრა**, კომ. მოქმედებად გ. ერისთავისა — ავტორის სურათით და ბიოგრაფიით. წიგნი აწყობილია წმინდა ასოებით, შეიცავს 4 გვერდს და ღირს . . | — | 5 | — | 3 |
| **არსენას ლექსი** — გალექსილი პეტრე უმიკაშვილის-მიერ — არსენას თავგადასავალი კი დაწერილი ზ. ჭიჭინაძის-მიერ. დასურათებულია ორმეტი ახალი სურათით მათში ორი, ფერადებითაა დაბეჭდილი — შეიცავს 32 გ. და ღირს . . . . . | — | 10 | — | 3 |
| **კრიტიკა სოციალ-ფედერალიზმისა და სოციალ-დემოკრატიისა** — შ. გოგელიასი კ. ორგელისა. გამოცემა ვ. ლამბაშიძისა. წიგნი შეიცავს 312 გვ. დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე და ღირს . . | 1 | — | — | 30 |
| **ნაწერები სევერი მეხხისა** — ავტორის სურათით და ბიოგრაფიით, გამოცემა ს. ფირცხალავასი. წიგნი დიდი ზომისაა. შეიცავს 533 გვერდს და ღირს . . . | 1 | — | — | 40 |
| **დამაკვირდი** — შეკრებილი შ. გაჩეჩილაძისა. წიგნაკი 6 გვერდია, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე და ღირს . . . . . . | — | 10 | — | 6 |
| **Грузинская [illegible]еза** — Анатоли Кремлевъ. Стихотвореніе посвящается Грузинскому Іроду, цѣна . . . . | — | 5 | — | 2 |
| **სიზმრის ახსნა** — შეიცავს 48 გვერდს მოთავსებულია სიზმრის ახსნის კარდა მკითხაობა პურის მარცვლით და სხვა. დიდი ფორმატია და ღირს . . . . | — | 25 | — | 5 |
| **საამდროვო მღერები** — ლექსთა კრება ახალგაზდა მგოსნებისა, შეიცავს 16 გვერდს და ღირს . . . . . . . . . | — | 5 | — | 2 |
| **გურული ხუმრობები და მონოლოგები** — გ. ურუშაძისა, შეიცავს 32 გვ. და ღირს. | — | 5 | — | 3 |
| **ტვინი და სული** — ივ. გომართელის შეიცავს 32 გვერდს და ღირს . . . . . . | — | 5 | — | 3 |
| **ოცნების კონა** — ი. გრიშაშვილისა, ავტორის სურათით — ლექსთა კრებულში მოთავსებულია ავტორის საუკეთესო რომანსები. წიგნი 32 გვერდია, დიდი ფორმისაა და ღირს . . . . . . . . . | — | 10 | — | 6 |

რედაქტორ-გამომცემელი შ. გაჩეჩილაძე.

ელექტრო-მბეჭდ. ამხ. „სორაპანი", თბილისი.